ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. #2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #153

20 ივლისი 2012 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19^1 მუხლის მე-9 და 19^3 მუხლის 1-ი პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოტანილი იქნას საჯარო აუქციონზე, დაშლა–გატანისა და ნარჩენი, უვარგისი სამშენებლო მასალებისაგან ტერიტორიის ერთი თვის ვადაში გათავისუფლების პირობით, დაბა ჩოხატაურში მდებარე ყოფილი ბავშვთა თეატრის, N1 ჩაის ფაბრიკის, N2 ჩაის ფაბრიკის ამორტიზირებული შენობა–ნაგებობები.

2. გამოტანილი იქნას საჯარო აუქციონზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. კოხნარის კულტურის სახლის შენობა–ნაგებობა მასზე დამაგრებულ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების 493 კმ.მ. მიწის ნაკვეთთან ერთად.

3. დამტკიცდეს აუქციონის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია დანართი N1 შესაბამისად.

4. აუქციონის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნას გაზეთ „24 საათში“ და ადგილობრივ პრესაში.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აცხადებს საჯარო აუქციონს

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე II ლოტად

I ლოტი: შენობა-ნაგებობა:

№	ობიექტის დასახელება	მიწის ნაკვეთის ფართობი კვ.მ.	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	,,ბე" 30% (ლარი)	,,ბიჯი" 10% (ლარი)	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)	მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი
1	სოფ. კოხნარის კულტურის სახლის შენობა-ნაგებობა	493	8045	2414	805	20	28.15.24.009

II ლოტი: შენობა-ნაგებობები (პირობებიანი აუქციონი)

№	ობიექტის დასახელება	შენობის ფართობი (კვ.მ.)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	,,ბე" (ლარი) 30%	,,ბიჯი" (ლარი) 10%	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)	მიწის უძრავი ქონების სარეგისტრაციო ნომერი
1	№1 ჩაის ფაბრიკის ამორტიზებული საერთო საცხოვრებელი (ნაშენია ,,ტუფის" ქვით)	368	850	255	85	20	28.01.02.287
2	№2 ჩაის ფაბრიკის ამორტიზებული საერთო საცხოვრებელი (ნაშენია ,,ტუფის" ქვით)	432	1300	390	130	20	28.01.01.294
3	დ. ჩოხატაური, დუმბაძის ქ.ყოფ. ბავშვთა თეატრის შენობა და დამხმარე ნაგებობა	996	6348	1904	635	20	28.01.22.082

ბავშვთა თეატრის შენობის რღვევისაგან სავარაუდოდ მისაღები მეორადი საამშენებლო მასალები:

№	**საამშენებლო მასალების დასახელება**	**ზომის ერთეული**	**რაოდენობა**
1	ბლოკი	ცალი	13 000
2	აგური	ცალი	12 000
3	გადახურვის ფილა (სიმკარი)	ცალი	31
4	არმატურა 16 მმ	კგ	1900
5	შავი თუნუქი, სახურავის	ცალი	70
6	ხის მასალა (გადახურვის)	$მ^3$	3
7	ეკლარის ფილა	$მ^2$	100

II ლოტისთვის აუქციონის დამატებით პირობად განისაზღვროს: აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ შენობების რღვევა და მისგან მიღებული ნარღვევი საამშენებლო მასალების გატანა და ადგილმდებარეობის ნარჩენებისაგან გასუფთავება თავისი ხარჯებით ერთი თვის ვადაში.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართვე ლოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 17 საათამდე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, საუქციონო კომისიაში (წერეთლის ქ. N-2).

აუქციონში მონაწილეობის მსურველი აუქციონის ორგანიზატორს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებულ განაცხადს (მიიღებთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში);

2. ,,ბე'-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამასაბუთებელ საბანკო ქვითარს;

3. ფიზიკური პირები - პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ხოლო იურიდიული პირები ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

4. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური თანხის გადახდა.

აუქციონში გამარჯვებულმა გამოსასყიდი თანხა უნდა დაფაროს 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად დათქმულ ვადაში, მის მიერ შეტანილი ,,ბე" უკან არ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში დამარცხებულს ,,ბე" უკან დაუბრუნდება.

,,ბე"-ს და აუქციონის მონაწილის ბილეთის ღირებულება შეტანილი უნდა იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიშზე:

ბანკის კოდი LBRGE22, ანგარიშის ნომერი GE11LB0120133210302000, საიდენტიფიკაციო კოდი 24008705; საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამამზადებელ პირებთან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღირებულებას, საკუთრების უფლების გაცემის და სანოტარო დამოწმების ხარჯებს დამატებით იხდის აუქციონში გამარჯვებული პირი.

მსურველებს უფლება აქვთ ადგილზე გაეცნონ გასაყიდი ქონების მდგომარეობას.

აუქციონი ჩატარდება 2012 წლის 6 აგვისტოს 15.00 საათზე, განაცხადის მიღება შეწყდება აუქციონის ჩატარების დღეს 13.00 საათზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სააუქციონო კომისიას მისამართზე: დ. ჩოხატაური, წერეთლის ქ. N-2, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა ტელ: **577 959775; 577 957030; 577 954390.**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა